საქართველოს მთავრობის

დადგენილება №232

2024 წლის 15 ივლისი

ქ. თბილისი

„პარაპლანით ფრენის რეგულირების განმახორციელებელი იურიდიული პირისა და მისი უფლებამოსილების განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აგვისტოს №321 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პარაპლანით ფრენის რეგულირების განმახორციელებელი იურიდიული პირისა და მისი უფლებამოსილების განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 18 აგვისტოს №321 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/08/2023, 420000000.10.003.024154) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარაპლანით ფრენის რეგულირების, საფრენი ადგილისა და საფრენი ადგილის ოპერატორის სერტიფიცირების, პარაპლანის მფრინავის მოწმობის/ კატეგორიის გაცემის, შეჩერებისა და გაუქმების და პარაპლანის ვარგისობის დადგენის განმახორციელებელ პირად, 2025 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, განისაზღვროს ა(ა)იპ – საქართველოს პარაგლაიდინგის ფედერაცია (ს/ნ: 401953212).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**